

სააუ
სამართლის ფაკულტეტის საბჭო
სხდომის ოქმი №3



თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფ. კახი ყურაშვილი, პროფ. თამარ ჩიტოშვილი, პროფ. მაკა სალხინაშვილი, პროფ. არჩილ ლორია, პროფ. ლელა ნადიბაიძე, ასოც. პროფესორი დავით გეფერიძე, ასოც. პროფ. თამარ ლალიაშვილი, უფრ. მასწ. ნინო ნიჭარაძე, უფრ. მასწ. მაყვალა კახაძე, სტუდენტი ლაშა სალხინაშვილი

სხდომის თავმჯდომარე : პროფესორი კახი ყურაშვილი
სხდომის მდივანი: ეთერ ირემაძე

დღის წესრიგი:

თჰუ სამართლის ფაკულტეტის დეკანის არჩევნების დანიშვნის საკითხი (მომხ. პროფ. კ. ყურაშვილი)

მოისმინეს:

პროფესორ კახი ყურაშვილის ინფორმაცია, იმის თაობაზე, რომ თჰუ სამართლის ფაკულტეტის დეკანს კ. ყურაშვილს გაუვიდა ადმინისტრაციულ თანამდებობაზე ყოფნის ვადა. საჭიროა დაინიშნოს სამართლის ფაკულტეტის დეკანის არჩევნები. მომხსენებელმა აუდიტორიას წარუდგინა ვერსია, რომ დეკანის არჩევნები დაინიშნოს 2011 წლის 15 თებერვლიდან, კანდიდატების რეგისტრაცია დაიწყოს 2011 წლის 15 მარტიდან 2 კვირის განმავლობაში და არჩევნები ჩატარდეს 2011 წლის 26 აპრილს 12 საათზე.

ზარი გამოთქვს: პროფ. ლ. ნადიბაიძემ და პროფ. ა. ლორიამ

სამართლის ფაკულტეტის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად ერთხმად გადაწყვიტა:

1. დაინიშნოს სამართლის ფაკულტეტის დეკანის არჩევნები 2011 წლის 15 თებერვლიდან; კანდიდატების რეგისტრაცია დაიწყოს 2011 წლის 15 მარტიდან, ხოლო ფაკულტეტის საბჭომ განცხადება გამოაქვეყნოს 2011 წლის 15 თებერვალს;
2. კანდიდატების რეგისტრაცია სამართლის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობებზე გაგრძელდეს მინიმუმ 2 კვირა 2011 წლის 16 მარტიდან 31 მარტის ჩათვლით, 17.00 საათამდე;
3. სამართლის ფაკულტეტის დეკანის არჩევნები ჩატარდეს 26 აპრილს 12 საათზე ფაკულტეტის საბჭოს მიერ;
4. აღნიშნული გადაწყვეტილებები გამოქვეყნდეს თჰუ ვებ-გვერდზე;
5. ეთხოვოს თჰუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილებების ბრძანებაში ასახვა.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

კ. ყურაშვილი

სხდომის მდივანი:

ე. ირემაძე

ე. ირემაძე

